



სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
ლირეატორი

ბრძანება

22 04 2021 წ.

№ 48

ქ. თბილისი

„მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/3) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 13.04.2021 წლის №37 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. კომისიის წევრის – ნინა სამანიშვილის მიერ საექსპერტო კომისიის შემადგენლობიდან გასვლის გამო, შევიდეს ცვლილება „მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/3) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 13.04.2021 წლის №37 ბრძანებით დამტკიცებულ „მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/3) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესში“, კერძოდ შეიცვალოს პირველ პუნქტში განსაზღვრული კომისიის წევრთა რაოდენობა და 1-ლი პუნქტი განისაზღვროს შემდეგი სახით: „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 24 თებერვლის №13 ბრძანებით გამოცხადებული მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/3) შემოტანილ პროექტებს განიხილავს სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომი-ეროვნული კინოცენტრი) საექსპერტო კომისია, რომელიც შედგება 4 წევრისგან.“

2. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი) IT სპეციალისტს დავით ყურაშიძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებგვერდზე განთავსება.

3. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის
საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის
ხეივანი მე-12 პმ. №6).

დირექტორი

ქ. ლ. ე.

გაგა წხეიძე